

წლიური ფასი სამი მანეთი.

შინაური საქმეები.

წლიური ფასი მეთექვსმეტი.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

არჩესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

ყოველ-კვირეულ გაზეთ)

შინაური საქმეები
„ხელს მოწრა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბუღალტრო-კაზაკის შესახებ)“
და თბილისში გამოცემულთა: სომხური, სომხურ-საქართველოს და მსგავსი. გამოცემა უფრო თანხი ნომერი, გარდა კვირკობისთვის და მარტო მარტოსთვის, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბ. ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: **3** მანეთი.
ნახ. წლით: **2** მანეთი.
გაზეთი დამოუკიდებელი ყოველგვარ განცხადებებს.

შინაური: 1) შეთავაზებული — ხელისა, 2) ყ-დ სამ-
დღედილი იმერეთის ეპისკოპოსის ცირკულიარის გამო-
ჩადგენა. 3) სინამდვილე სახარებისა, — გლადკოვსკი-
დან. 4) წაღმა — უკუღმა, — ა. ჟუთისოვლინიანი.
5) შენიშვნა — სულიერისა. 6) კვირიდამ — კვირამდე.
7) ერთი დამე აკალდამაში, — არბ. ნახტორისა.

ქუთაისი, 23 იანვარი.

ფრანგულ გაზეთ „მატენში“ მოყვანილია სტატისტიკური ცნობები შესახებ იმისა თუ რამდენი ქალი ძალათ იშლის მუცელს წელიწადში. გამოდის, რომ მსოფლიო ჰარისში ძალით მუცლის მოძალადება 120,000. რადგან სტატისტიკური ცნობები ეოკვლავის ოფიციალურ ქაღალდებზე იკრება, უნდა ვიფიქროთ, რომ ზემო აღნიშნული რიცხვი ერთი ორათ ნაკლებია ნამდვილზე. და თუ მართლ ჰარისშია ამოღება მუცლის მოძალადება იქნება მთელ საფრანგეთში?

თქმა არ უნდა, სამშობლოს გულ-მუცელივანრი ფრანგნი შიშით უყურებენ ამ სამწუხარო მოვლენას, რომელ



თავის თავად წარმოადგენს ერთ უმთავრეს მაზესს ხალხის გადაშენებისას. საფრანგეთი დიდი ხანია სდგას ასეთ გადაშენების გზას და ეს ახალი სენიშეცხათ შეუწეობს ხელს ამ საქმეს.

საფრანგეთი საფრანგეთია, ძაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენშიც ფეხი მოიდგა ამ მოკლენამ და აითქმის გადაძღვებ სენად მოეფინა ჩვენ დედებს. რაღა ეს ეჭირვებოდა ისედაც გადაშენების პირზე მდგარ ქართველობას, ძაგრამ, რა გაეწეობა, მოდას სომ ვერ უღალატებდით; ჰარისი ახალ-ახალ მოდების მოკარნახეა და რომ არ წაგუებამა, სომ ჩამოვრჩებოდით თანამედროვე ცივილიზაციას?!

რასაკვირველია, მუცლის მოძლა ყოველთვის ყოფილა არა თუ საფრანგეთში და საქართველოში, არამედ მოელ დედამიწის ზურგზე, ძაგრამ დღემდის ეს ცოდვა ქორწინების კარეზე ხდებოდა და ქორწინებულ დედათა შორის იშვიათ მოკლენას შეადგენდა; ამას კარდა იგი ყოველთვის ცოდვით და არა ჰატონან საქციელათ ითვლებოდ; დღეს კი სახოგადო მოკლენად გადაქცა და არა თუ ცოდვით, უმაღლეს განვითარების თვისებათ ირიცხება. გასაკვირვებელი აქ უფრო ის არის, რომ ჩვენი განათლებული დედების ასეთ შეუწეხარებელი, არა ადამიანურ საქციელს ხელს უწეობენ სოციალური ნასწავლი და საქმეში დასელოფნებული პირნი, ასე რომ ბევრისთვის ხელობად, ფულის მოსაკებ იარაღად გადაქცა.

ურიგო არ იქნება, რომ ჩვენი ახალ-

განდა და მხცოვანი ექიმები უუზადდების მიქცივდენ ამ საქმეს და როგორც სხეციალისტები განუძარტავდენ ჩვენ დედებს თუ რა სინამაგლეს ჩადის მუცლის მოძღველი დედა, როგორ იღუპავს თავს და ღუპავს სამშობლოს მოძავალს, რა შედეგებს გამოაწვევს ესეთი ბუნების წინააღმდეგი საქციელი თვით დედისა და ოჯახისათვის და სსვ. ჩვენ კი, როგორც მოწმებენ ჰარი, ვეტყვით ჩვენ ახალმოდის მიძღვეარ დედებს, რომ იკინი დიდ ღვთის წინააღმდეგ და უსახისდრეს ცოდვას შერებიან, როცა მუცელს იძლიან, იკინი გამოდან ღვთის წინაშე თავის ძველენი, რადგან არ იციან, გადიტანენ თუ არა ამ უსძინელეს ახერციან, და შვილის ძველენი, რადგან შვილი მაშინაც შვილია, როცა მუცლით ატარებ.

კარგი იქნება სახალხო უნივერსიტეტი დაავალბედეს ერთ-ერთ თავის ლექტორს ამ საგანზე ლექციების კითხვას. ამას უფრო დიდი აღმზრდელი და განმავითარებელი მნიშვნელობა იქნება, ვიდრე ძველი საუკუნოების კუდიანებს და შურვან ერუს შემოსევას იძერეთში.

ხელი.

ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ცირკულიარის გამო*).

ყ-დ სამღვდლო ეპისკოპოსის გიორგის ცირკულიარში აღნიშნული საკითხები მეტათ საყურადღებოა, მაგრამ განსაკუთრებით ღირსაღსანიშნავია საკითხები: სამარხ კასსაზე, განმანათლებელ ძმობის სასარგებლოთ ფულის

*) თვით ცირკულიარის შინაარსი იხ. ქვემოთ „კვირიდა—კვირობამდე“-ში.

გამოღებაზე და სანთლის მოგებადგან 25⁰/₀ გადაღებაზე.

დავიწყეთ პირველი საკითხიდან. სამარხი კასის სარგებლობის და საჭიროების მნიშვნელობა ყველას კარგათ უნდა ჰქონდეს შეგნებული განსაკუთრებით ჩვენ ქართველებს. ასეთი კასია, თუმა ამ სახელით არა, ყოველთვის არსებობდა ჩვენში და დღესაც არ მოსპობილა სოფლად, სადაც რუსული სახელის მაგიერ გადასახურავის, შესაწევარის სახელს ატარებს. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ სამარხი კასის გადასახადი სავალდებულოა, ხოლო გადასახურავი ნებაყოფლობითი, პირველ შემთხვევაში ჭირისუფალს ეძლევა განსაზღვრული თანხა, ხოლო მეორეს რაოდენობის განსაზღვრა წინდაწინ შეუძლებელია და დამოკიდებულია სხვა და სხვა მიზეზებზე.

ამასთან ძველ გადასახურავს ხარჯი მოსდევს, ხოლო ახალი კასია სრულიად უხარჯოა. ამიტომ სამარხ კასას დიდი უპირატესობა აქვს ძველ გადასახურავთან შედარებით. ამ უპირატესობას სამღვდელოება, თქმა არ უნდა კარგათ შეიგნებს და ყოვლის უარის უთქმელად დაიარსებს ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას, მით უფრო, რომ ახლა სამარხი კასები ძრიელ გავრცელებულია. ასეთი კასია მეზობელ გურია—სამეგრელოს ეპარქიაშიაც არსებობს, რომლის წესდება სახელმძღვანელოდ გაუხდება იმერეთის სამღვდელოებას, ცოტა რამ შესაძლებელ ცვლილებების შეტანით.

მაგრამ სამარხ კასასთან არ შეგვიძლია არ გაიხსენოთ „დამხმარებელი კასაც“, რომლის დანიშნულება იქნება ხელი შეუწყოს სამღვდელოებას ყოველ გაჭირვების დროს სესხის მიცემით ან ერთ ემიერ, თუ სამუდამო შემწეობის დანიშნით.

ასეთ დამხმარებელ კასის წესდების შედგენა მოგვანდევს ჩვენ ერთ დროს, რომელი მონღოლობაც ჩვენ შევასრულეთ და წარუდგინეთ სამღვდელოების მორიგ კრებას ერთი წლის შემდეგ, რომელმაც შემუშავებული წესდება განხილვის ღირსადაც არ სცნო. რადგან წინდაწინვე ფულის შეკმის შეეშინდა. განსვენე-

ბულმა დავით ღამბაშიძემ, რომელსაც აღრევე განხილული ჰქონდა ეს წესდება, კრებაზე სწორეთ ეს აზრი გაატარა. „წესდება რას აკეთებსო, სთქვა განსვენებულმა, როცა კაცი არა გვყავს, რომელსაც დავენდოთ და ფულები ჩავაბაროთ საწარმოვოთო, ფულებს გაგვიფლანგავენ და მშრაოლზე დაგვსვამენო“. დამხმარებელ კასის მნიშვნელობას ვერც ახლა უარყოფს სამღვდელოება, თუ იმ მხრით არ შეხედავს საქმეს, რომლითაც შეხედა განსვენებულმა დეკანოზმა. მაგრამ მაშინაც ვსთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ ეს უადგილო შიშია. რომ ასე ეშინოდესთ ფულების ფლანგვისა, არც ერთი საკრედიტო დაწესებულება არ იქნება ქვეყანაზე. არა, ასე საქმეს ნუ შევხედავთ და ნურც თავს დავიმცირებთ, ვითომ სინიღისიანი და პატიოსანი კაცი არ გვყავდეს. ნურც ჩვეულებრივი შურის თვალთ დავიწყებთ ყურებას ყველამ ვიმუშაოთ ძალი-სამებრ ჩვენისა სარწმუნოებისა და მშობელ ერის სასარგებლოდ—თუ ჩვენ ერთი მეორეს დავეხმარებით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამით მშრომელ ხალხს უღელს შეუშუბუქებთ და გარდა ამისა დიდ მაგალითს მივსცემთ ერთმანეთის დახმარებისა და შემწეობისას. მაშ საჭიროა აღვადგინოთ მეხსიერებაში დამხმარებელ საზოგადოების წესდება, რომლის ერთ ერთ მოქმედების დარგს, როგორც მახსოვს, შეადგენს სამარხი კასაც. იმედია, დღევანდელი სამღვდელოება უფრო ფხიზელი თვალთ შეხედავს ამ საქმეს და მკირე დაბრკოლებას არ შეუშინდება დიდი საქმის გაკეთების გზაზე. ნუ დავივიწყებთ, რომ დაბრკოლება ყოველ კეთილ საქმეს ელოდება წინ, მაგრამ გამირობაც და ქრისტიანული მოღვაწეობაც ამ დაბრკოლების გადათელეშია.

რაც შეეხება იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ—განმანათლებელ ძმობას, ეს ერთად ერთი დაწესებულებაა არა თუ მხოლოდ იმერეთში, არამედ მთელ საქართველოში, რომელსაც მიზნად დაუსახავს ქრისტიანობის განმტკიცება ქართველთა შორის ზებირ მოძღვრების დრო გამოშვებითი გამოცემების და წიგნებ-წიგნაკების გამოცემის საშუალებით.

რა თქმა უნდა, ყოველ დაწესებულებას და განსაკუთრებით საქველმოქმედოს, საშუალება სჭირდება. ჩვენ განმანათლებელ ძმობასაც, როგორც ასეთ საქველმოქმედო დაწესებულებას, საშუალება უნდა და ეს საშუალება კერძო ქველმოქმედმა პირებმა უნდა აღმოუჩინონ მას. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კუროხეული სამშობლო ძრიელ ღარიბია ქველმოქმედ პირებით. განსაკუთრებით კი ჩვენი ქველმოქმედი პირები (რომელნიც მოიპოვებინ) არ სწყალობენ არავითარ სარწმუნოებრივ დაწესებულებას, რადგან თვით სარწმუნოება კაცობრიობის უსარგებლო მეტ ბარგად მიაჩნიათ. ამიტომ ამ დაწესებულებების აღორძინებას და განვითარებას თვით მათ უნდა მიაქციონ ყურადღება, ვინც მოწოდებულნი არიან დაიკვან ხალხში ქრისტეს წმიდა მოძღვრება, ასეთი პირები კი სამღვდლო პირნი არიან და საზოგადოთ ეკლესიის მსახურნი. თუ სამღვდლოებამ ხალხში სარწმუნოების დაცვისთვის არ იზრუნა, მაშინ მისი მოწოდება გადაიქცევა სავაჭრო, საზრდოს მოსაპოვებელ იარაღად, რაც, თქმა არ უნდა, დასცემს თვით სამღვდლოების გავლენას ხალხის თვალში, ხოლო ეს უკანასკნელი გამოიწვევს მის სულიერ და ნივთიერ სიღატაკეს. ამ ნაირად ძმობის განვითარება-აღორძინება თვით სამღვდლოების გავლენის განვითარება აღორძინება იქნება და ეს ხომ სასურველი მოვლენაა.

მეტათ საყურადღებოა საკითხი შესახებ 25% გადადებისა სანათლის მოგებიდან სასულიერო სასწავლებლის ნორმალურ კლასების შესანახად. მხოლოდ ცირკულიარადგან კარგად არა სჩანს, განთავსდეს თუ არა ჩვენი საეკლესიო ხაზანა ამ კლასების შენახვისაგან, თუ ის 7000 მანეთი, რომელიც დღეს ამ საქმისთვის იხარჯება, ისევ ხარჯათ დარჩება. უკანასკნელ შემთხვევაში სამღვდლოება ვერაფერს მოიგებს. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს თანხა უთუოდ თავისუფალი უნდა დარჩეს. მაშინ შეგვიძლია იგი სემინარიის პარალელურ კლასების შესანახად მივაქციოთ, ან სასულიერო სასწავლებლის შეკეთებისათვის გავიხმაროთ.

რედ. მლ. ს. მ—ძე.

სინამდვილე სახარებისა.

(გლადკოვიჯან).

(გაგრძელება *).

ესე ყოველი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ იესო არს ქრისტე ძე ღვთის: (ი. XX, 31).

(ლ. X, 27) რომ თლათარ ამოვწეროთ, უჩვენოთ ზოგიერთი ადვილები, ნახმარი წმ. ეგნატეს ეპისტოლეებში—მათეს სახარებიდან: I, 23; IV, 23; V, 5, 45 და 48; VIII, 17; IX, 35; XII, 33 და 40; XV, 13; XIX, 12, 13 და 43; XXII, 40; XXVII 52; XXVIII, 19; მარკოსის სახარებიდან: XI, 25; ლუკას სახარებიდან: X, 16 და 27; XIV, 11 და 15; XVIII, 13 და 14; XXII, 31; XXIII, 34; და იოანეს სახარებისაგან: II, 19; III, 8; V, 30; VIII, 29, 46, 56 და 58; X, 11; XI, 25 და 26; XII, 32; XIII, 34; XIV, 6, 24, XVI, 13, 14; XVII, 3, 4, 5, 6, 11 და 21; და XX 25, 27 და 28.

ამნაირათ ეს ეპისტოლეები გვიმოქმედებენ, რომ მათი დაწერის დროს, ე. ი. 107 წელს ქ. შ. წმ. ეგნატემ იცოდა ოთხივე სახარება; და რადგან იგი ეპისტოლეების დაწერამდის მსახურებდა ანტიოქიაში ეპისკოპოსად ორმოც წელიწადს, თავისთავად ცხადია, გაეცნო იგი სახარებას არა 107 წ. არამედ უფრო ადრე და, უფრო დასაჯერებელია, იმ რიგზე, როგორც იწერებოდენ იგინი.

პოლიტარპე სმირნელ ეპისკოპოსი, მოწაფე მოციქ. იოანესი. წმ პოლიკარპეს მოწაფე წმ. ირინეოს ლიონელ ეპისკოპოსი, თავის წერი ში ფლორინისადმი ასე იხსენიებს თავის მასწავლებელს: „მე კიდევ პატარა ვიყავი, ოცა გნახე შენ მციოე აზიაში პოლიკარპესთან; მე ეხლაც შემძლია წარპოვიდგინო ის ადგილი, სადაც იჯდა და საუბრობდა წმ. პოლიკარპე, წარმოვიდგინო მისი გაკლამოვლა, მისი ცხოვრება-მოქმედება, მისი გარეგანი შეხედულება, მისი საუბრები ხალხთან, როგორ მოუთხრობდა იგი შესახებ თა-

*) იხ. შინ. საქ. № 32 1910 წ.

ვის ერთობისა იოანესთან და უფლის სხვა თვითმხილველ მოციქულებთან, როგორ მოიგონებდა ხოლმე იგი მათ სიტყვებს და უამბობდა ხოლმე, რაც გაეგონა მათგან უფალზე, მას მოძღვრებაზე და სასწაულებზე. რადგანაც ყოველივე მათგან გაიგონა, ვინც თვით მხილველი იყვნენ სატყუარს მას ცხოვრებისა, **ამიტომ ვგულს მასა ნაამბობა ეთანხმებოდა წერადს**“ (იხ. ევსევი V, 20).

წმ. პოლიკარვე იყო ეპისკოპოსათ ქალ. სმირნაში ორმოც წელიწადზე მეტი; მარკოს ვრელიოსის მეფობაში, ქრისტიანობის დევნის დროს, იგი დასწევს კოცონზე (ეცებლში), ხალხის თხოვნის თანახმად, რომელსაც ებრაელებიც ეხმარებოდნენ შეშის ზიდვაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს დღე შაბათი იყო.

ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში, რომელიც, დაწერილია წმ. ეგნატეს წამების ახლო ხანებში. წმ. პოლიკარვეს მოჰყავს სახარებიდგან შემდეგი ადგილები: მათესაგან — V, 3 და 10; VI, 13; XXVI, 41; მარკოსისაგან XIV, 38; და ლუკასაგან — VI 37 და 38; თუმცა ამ ეპისტოლეში არაფერია ნაჩვენები იოანეს სახარებისგან, მაგრამ სამაგიეროდ მასში მოყვანილია სიტყვები ამ მოციქულის პირველი ეპისტოლედან, რომელიც დაწერილია სახარების შემდეგ; აქედგან ცხადია, რომ წმ. პოლიკარვეს უნდა ცოდნოდა სახარებაც, როგორც უფრო ადრე დაწერილი წიგნი მისი მასწავლებლისა.

პაპი, ეპისკოპოსი იეროპოლისა. — წმ. ირინეოს ლიონის ეპისკოპოსი თავის მეხუთე წიგნში მწვალებლობის წინააღმდეგ, 23 თ., ამბობს, რომ პაპი იყო მოწაფე იოანესი და ამხანაგი პოლიკარვესი და დასწერა ხუთი წიგნი სახელწოდებული „განმარტებად სიტყვისათა უფლისათა“. ამ წიგნებს არ მოუხწევია ჩვენამდის; მხოლოდ მათი ნაწყვეტები მოყავს ევსევეს თავის სიეკლესიო ისტორიაში (III 39). ამ წიგნებში, როგორცა სჩანს დაცული ნაწყვეტებიდან, პაპი ამბობს, 1) რომ მათემ დასწერა უფლის საუბრები ებრაულ ენაზე ხოლო სთარგმნიდნენ მას, ვისაც როგორ შეეძლო, და 2) მარკოს პეტრეს მთარგმნელმა (ИСТОЛКО-

ВАТЕЛЬ) ზედმიწევნით დასწერა, ყოველივე, რაც ახსოვდა, თუმცა არ დაუცავს რიგი ქრისტეს სიტყვათა და მოქმედებათა, მიტომ რომ თვით არ იყო მსმენელი და თანამოგზაური უფლისა. შემდეგ იგი იმყოფებოდა პეტრესთან; მაგრამ პეტრე გადმოსცემდა ქრისტეს მოძღვრებას, არა რიგზე, არამედ როგორც მოუხდებოდა და საჭირო იყო მსმენელთათვის. ამიტომ მარკოსი სრულიად არ სცოდავს, როცა აგვიწერს ზოგიერთ შემთხვევის ისე, როგორც აგონდება: იგი ცდილობდა მხოლოდ მაზე, რომ განაგონიდგან რაიმე არ გამოეშვა ან არ გადაესხკაფერებია“. მასვე მოჰყავს სხვა და სხვა მუხლები იოანე მახარებლის პირველ ეპისტოლედან (იხ. ტიშენდორფი, 221).

რენანი ამბობს, თუ პოლიკარვე და პაპი, რომლებიც იოანეს მოწაფეებთ ირიცხებიან, არ იხსენიებენ თავის ნაწერებში მის სახარებას, აქედგან სჩანს, რომ მათ დროს ეს სახარება არ ყოფილა. ამ შენიშვნას მნიშვნელობა ექნებოდა მაშინ, რომ შეგვეძლოს პოლიკარვეს და პაპის ყველა თხზულებათა გადაკითხვა; მაგრამ რადგან პაპის ყველა ნაწერთაგან ჩვენამდის მხოლოდ რამდენიმე ნაწყვეტმა მოახწია, ხოლო პოლიკარვეს ნაწერებიდან მხოლოდ ერთმა ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში, ამიტომ რენანის შენიშვნა ჰკარგავს ყოველივე მნიშვნელობას. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ დაკარგულ ნაწერებში ბევრი რამ არის შემოტანილი იოანეს სახარებიდანაც; და ეს მოსაზრება არ არის არავითარ სიმართლეს მოკლებული, რადგან მათ დაცულ ნაწერებში სიტყვა-სიტყვაზეა მოყვანილი ბევრი რამ მოციქულის პირველ ეპისტოლედან, რომელიც დაწერილია სახარებაზე უფრო გვიან. ახალი ნახული ნაწყვეტი პაპის თხზულებისა, რომელიც ტომასის მოჰყავს, მოწმობს, რომ იოანეს სახარებას ცნობდა პაპი. (იხ. თხ. დიდონისა „იესო ქრისტე“ I).

მეორე რიგის მწერლები არიან: წმ. იუსტინე ფილოსოფოსი, წმ. ირინეოსი, ტაციანი, კლიმენტ ალექსანდრიელი, ათინაგორ ათინელი, წმ. თეოფილე ანტიოქიელი, ტერტულიანი და ორიგენი.

იუსტინე ფილოსოფოსი თავის წიგნში — „საუბარი ტრიფონ ურიასთან“ აწბობს, რომ მან ჯერ კიდევ წარმართობაში შეისწავლა მაშინდელი დროის ყველა ფილოსოფიური სისტემები და განსაკუთრებით გაიტაცა პლატონის ფილოსოფიამ; მაგრამ მთელი მისი ცოდნა არ აძლევდა მას პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც ანტერესებდა მას: ღმერთზე, სულზე, სულის უკვდავებაზე და სხვა, სანამ ერთმა მოხუცმა არ უამბო მას ი. ქრისტეზე და წინასწარმეტყველებზე, რომლებიც წინასწარ აუწყებდნენ მის მოსვლას. ამის გამო მან შეისწავლა სახარება და წინასწარმეტყველებანი და მხოლოდ ამაში იპოვა ერთად ერთი კეშმარტი ფილოსოფია. (იხ. თხზ. იუსტინესი თარგ. პრეობრაჟენსკისა. 1892 წელ. გვ. 134—145).

იუსტინემ ნათელ ილა 137 წ. ქ. შ. და დაიწყო მოგზაურობა რომის იმპერიაში ქრისტიანობის გასავრცელებლათ, რის გულისათვისაც და მისთვის რომ კერპებს მსხვერპლი არ შესწირა თავ მოკვეთილ იქმნა 163—167 წლებს შუა.


წმ. იუსტინე ფილოსოფოსმა და მოწამემ ბევრი ნაწერები დაგვიტოვა, როგორც მოწამობს ისტორიკოსი ევსევი; მაგრამ იმ ცოტა ნაწერებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს ნამდვილ მის დანაწერათ აღიარებულია მხოლოდ ორი აპოლოღია და საუბარი ტრიფონ-ურიასთან. პირველი აპოლოღია წარდგინა იმპერატორ ანტონინს, ხოლო მეორე ომბის სენატს, და ორივე დაწერილია ქრისტიანებია და ქრისტიანულ სარწმუნოების დასაცავათ წარმართებისა და ებრაელების უმართებულო ცილის წამებისა და დევნის წინააღმდეგ. საუბარი ტრიფონ ურიასთან არის საუბარი მსწავლულ ქრისტიანისა ებრაელ მწიგნობართან და გვიჩვენებს, რომ იუსტინემ ზედმიწევნით იცოდა ყველა ძველი და ახალი აღთქმის წიგნები: წინასწარმეტყველებანი, სახარება, მოციქულთა ეპისტოლენი და განცხადება (აპოკალიპსის). ამ საუბარში იუსტინე უმტკაცებს ურიას, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა წინასწარ აუწყეს ი. ქრისტეს მოსვლა, და რომ ი.

ქრისტე ჯვარცმული პონტოელ პილატეს დროს, არის სწორეთ ის ქრისტე რომელზედაც აუწყებდნენ წინასწარმეტყველები.

პირველი აპოლოღია იუსტინესი დაწერილია 150—155 წლებ შუა; ამ აპოლოღიაში და აგრეთვე ტრიფონ ურიასთან საუბარში მოყვანილია ურიცხვი სიტყვა-სიტყვი ამოწერილობა ოთხივე სახარებიდან; მაგალითად: ა) პირველი აპოლოღიის მეთექვსმეტე მუხლში — ნუ ჭფუცავთ სრულიად, ანამედ იფაგნ სიტყვა თქვენა ჭე, ჭე და ანა, ანა, ხოლო უმეტეს ამისა ეშმაკისაგან ანს. (მათესი V 34 და 37); ბ) საუბრის 76 მუხ. ჯერ ანს მისა კაცისა ფრად გნებად და შეურაცხყოფად მდგადელ-მთავართა და მწიგნობართაგან და ფრასეველთა და ჯვარცმად და შესამეს დღესა ადგომად (მარ. VIII, 31; ლ. IX, 22); გ) იქვე 17 მუხ. — სახლი ჩემა — სახლ საღაცველ ანს, ხოლო თქვენ ჭევათ იგი ქვან ავაწავთა (XIX 46); დ) პირველ აპოლოღიის 61 მუხ. — უკეთუ გინმე ანა იშვეს მეორეთ, გერ ხელეწაფების ხადგად სასუფეველი წათა. (ი. III, 3); საერთოდ, იუსტინეს ნაწერებში იპოება 126 ადგილი სახარებიდან, სახელდობრ: 88 მათეს სახარებიდან, 7 მარკოსიდან, 25 ლუკასაგან და 7 იოანესაგან. ხშირათ, როცა რომელიმე ადგილები მოჰყავს სახარებიდან, წმ. იუსტინე უმატებს: „როგორც თქმულია მის მოციქულთა და მათ მიმდევართა ღირს სახსოვარ ნაწერებში“, ანუ: „მოციქულებმა მათგან ჩაწერულ მოთხრობებში, რომლებსაც სახარება ეწოდება, გადმოგვცეს...“ (საუბ. ტრიფ. გვ. 102 და 103; I აპოლოღია მუხ, 66)

ამნაირათ იუსტინე ფილოსოფოსის ნაწერები მოწმობენ, რომ 137 წელს ქ. შ. ოთხივე სახარება ცნობილი ყოფილა — ქრისტიანეთა შორის, როგორც საღვთო წიგნები.

(შემდეგი იქნება).



წალავ-უკულავ.

(გაგრძელება).

III.

მეტად კარგი და ბუნებით უხვი კუთხეა სამეგრელო. ჯერ კიდევ ძველად საბერძნეთში განთქმული, როგორც ოქროს ბალნიანი ცხვრის სამშობლო კოლხიდა, მეტად ძვირად ფასდებოდა გარეშე ხალხთაგანაც. . . ან ვინ არ დაათვათებდა, ვის არ შეუყვარდებოდა ის?... შავი ზღვის პირად, აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული ძვირფასი კუთხე სამშობლო — საქართველოსი წარმოადგენს ერთ დიდ — ვეებერთელა, თითქო ხელოვნურად გაკეთებულ წალკოტს. აქ ხელის-გულივით სწორი და თვალგაღწვევნიელი ვაკე ადგილები, თავისი ნოყიერი სახნავ — სათესით და საძოვრით; იქ გორაკები, გორები და მთებიც, ხშირად დაბურული საშარადისოდ აყვავებულ დაფნის ტყით და სხვა და სხვა სურნელოვანი მცენარეებით; ბევრგან ხშირი და ძვირფასი ტყეები, თვალწარმტაცი მდებარეობის სურათები, ნაირ-ნაირი ხეხილები, მჩქეფარა ანკარა წყაროები, ძვირფასი წყლები, გოქმედი მდინარეები და სხვა და სხვა ბუნების უხვი სიმდიდრე ამკობს და ამშვენებს ამ ღვთისაგან ნაკურთხ მხარეს... მართალია, ქალაქადის წუმბიანი მდებარეობა, ფარშავანგის ფეხებისა არ იყოს, ერთის შეხედვით, აფქრებს აღმიანს, მაგრამ ვინც დაძკვირებია ამ ხე — ტყით მდიდარ კუთხეს, რომელიც მრავალ მუშა — ხელს აძლევს დღიურ ლუკმას, მას არ დაურჩებოდა წარმოუდგენელად, რომ ერთ დღეს იმასაც მოეღოს დიდებული მომავალი. მისი მდებარეობა, სინოყიერე მიწის ნიადაგისა, სიახლოვე ზღვისა და სხვა მრავალი პირობები თავდებია იმისა, რომ იქ, სადაც დღეს ნავეებით დასცურავენ დაკოლოების სამშობლოდ ითვლება, ერთ მშვენიერ დღეს გადაიშლება ჩინებული სოფლები და ადუღდება ცხოვრება... აღმოსავლეთ — ჩრდილოეთით სამეგრელოს სდარაჯობს მუდამ თოვლით თავდახურული კავკასიის მთაგრეხილი; ისიც მდიდარი ძვირფასი ხე — ტყით, ნადირე-

ბით და მრავალ-გვარი მადნეულების წყლებით. ეს უზარმაზარი, საგულისხმო გოლიათი, სამეგრელოს ბუნებითი მშვენიერების დასამთავრებლად, თითქო განგებ წამოუყუდებიათ აქ, სამეგრელოს მკვიდრთა ბრძოლის საგნად, რომ ადგილობრივ მუშა ხელს მისი გულიდან ამოეთხარა ოქრო და შორს არ მოსვლოდა, ბედის საცდელად, გამგზავრება. მართლაც, ვინ იცის რამდენი სიმდიდრე არ აწყვიტა ამ მთების წიაღში? მაგრამ ის ჯერ კიდევ შეუბრძოლებლად განისვენებს გაკვირებული და გაბუტული, თითქო ეუბნებო უძღურ მებრძოლთა: — რაღას დაცოცავთ ჩემს ზურგზე და ძილსა მიფრთხობთ, თუ გულს გერჩით, ერთი ჩაიჭერით ჩემს სიღრმეში, რომ წამოვანთხო ოქრო და სიმდიდრით ავაგსო ეგ ჩემი მორჩილი და ფერხთა მტვერი საბრძანებელიო! — მაგრამ ეს მოწოდება ბრძოლის ველიდან, მოწოდებადვე რჩება და სუსტნი მებრძოლნი კი სად და სად არ გარბი-გამორბიან დღიური ლუკმის მოსაპოვებლად!..

ასეთს დღიურად მომუშავე მეგრელებს თქვენ შეხვდებით ბევრგან, მაგრამ განსაკუთრებით მათი სანუკვარი ადგილი არის ქ. სოხუმი... თუ მეგრელო-მუშამ, ბედის საცდელად, გამგზავრება განიგულა, შეჰკრა თივისი ბარგი — ბარხანა და გადო ზურგზე, ის უსათუოდ სოხუმს გაემგზავრება. ეს იმიტომ კი არა, ვითომც მეგრელი სხვაგან და უფრო შორსაც გამგზავრებას ვერ ბედადდეს; სრულიადაც არა, ის უფრო შორსაც წავა, რომ დარწმუნებული იყოს, იქ ბედი გაულიმებს, მაგრამ ჯერ ერთი: იცის, რომ უცხო მხარეში მას დიდ-ხანს მოუხდება ყურყუტი, სანამ სამუშაო გაუჩნდება, რაც მას არაფრად მოსწონს და მეორედ, „შეჩვეული ჰირი ურჩენია, შეუჩვეველ ლხინს“ და ამის გამო მას ვერავინ ეტყვის თუ, რომ სოხუმი დიდი მოსაგები ქალაქი არ იყოს. მართალია, მუშა აქ სამუშაოს ადვილად ჰპოვობს ბაღებში, მემამულეებთან და მოიჯარადრეებთან, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სოხუმი, როგორც ადვილად იძლევა სამუშაოს, ისე ადვილად ყვლეფავს და ცარცავს მუშას, მეტად დინჯი, მტკცე, მომჭირნე და

„უხასიათო“ უნდა იყოს მუშა, რომ კვირა—
უკმ—დღეობით, სოხუმის სამიკიტნოებმა არ
ჩაითრიოს, კვირიდან—კვირამდე ნაშოვნი არ
დასციკლოს და ხშირად ფულიც არ დაა-
დვას. ეს საზოგადო მოვლენაა და ამის გამო
მუშების მომეტებული ნაწილი როგორც ცა-
რიელ—ტარიელები სოხუმში მიემგზავრებიან,
და ისიც, მათი ოჯახის სატირლად, ხშირად
საძაგელი სენით შეპყრობილნი. ამის გამო,
სოხუმის შესახებ, მღაბიო ხალხში შემდგარია
აზრი: „სოხუმში ნაშოვნი სოხრმშივე დაილე-
ვაო.“

მერაბიკა წუწკაიას წერილი—წერილზე
მოსდიოდა ნიკო ბესლანიასაგან, რომელიც
დიდი აღებ--მიცემის კაცად ითვლებოდა ქ.
სოხუმში და მერაბიკას შვილის ნათლიაც იყო.
ნიკო სწერდა მერაბიკას, რომ შვილი მიეცა
მისთვის, რადგანაც ეს მისი ნათლული სო-
ფელში ცუდლუტობის მეტს არაფერს აკე-
თებდა... სხვათა შორის სწერდა, რომ ის უფ-
რო კარგად იზრუნებდა მისი მომავლისათ-
ვის, ვიდრე თვით მამა. მერაბიკას ეს ამბავი
ძალიან ახარებდა და თვითონაც ამის მთხოვ-
ნელი იყო. მან ორ-სამჯერ სთხოვა ნი-
კოს, რომ მისი ნათლული კოლია წაეყვანა და
იმის საბოლოოფოსთვის ეზრუნა; მაგრამ ამ დრო-
ებით თუ მერაბიკა წერილს მაინც უყურადღე-
ბოდ სტოვებდა, ამის მიზეზი ჯერ ერთი ის
იყო, რომ ბიჭი გამოწყობილი არ ყავდა და
მეორედ აღარც გზის ხარჯი გააჩნდა... მერა-
ბიკა მეტად ღარიბი აზნაური იყო; არც გა-
საყიდი ჰქონდა—რამ და არც დასაფარავებელი
გააჩნდა... თუმც ერთ დროს ის კაი მამულის
პატრონი ყოფილიყო, მაგრამ რისაც გაყიდ-
ვა—დაგირავება შეიძლებოდა, ადრე გაეშვა
ხელიდან და ახლა კი უკიდურეს სიღარიბეში
ჩაეარდნილიყო, რის გამო, რა თქმა უნდა,
ნდობაც დაჰკარგოდა სოფელში. მიუხედავად
ამისა ის ყოველთვის მეზობლების კარზე იდგა
რამე—რუმეების სათხოვნელად და რადგანაც
მერაბიკა მეტად ავაზაკური მოხერხების პატ-
რონი იყო, უფრო შიშის და შორიდებისა გა-
მო, ვიდრე თანაგრძნობისა, მეზობლებიც ცო-
ტა—რამეებზე უარს ვერ უბედავდნენ და


ცოტ-ცოტა სიმინდს, ფქვილს, ლობიოს და
სხ. აძლევდნ სესხად, თუმც ნასესხების დაბ-
რუნების იმედი, მიცემის დროსვე დაკარგული
ჰქონდათ მათ. მერაბიკას სამი ვაჟი ჰყავდა და
პირველი კოლია იყო. მამას კოლია ძალიან
მოსწონდა; მოსწონდა იმიტომ, რომ კოლია
პატარაობიდან თითქმის ავაზაკურად იყო აღ-
ზრდილი, რაც მამის გულს ახარებდა. 15—
16 წლის კოლია მეტად გამბედავი, მარჯვე
და თავ-განწირული ბავშვი იყო, რასაც მერა-
ბიკა ალტაცებაში მოჰყავდა. „თუ ჩემი კოლია
მემსწრო, მერე არაფერი მიშავს, — მშიერს,
რომ ერთი ლუკმა ეჭიროს, იმასაც წაგლეჯს
პირიდანო“... ხშირად იტყოდა გახარებული
მამა და შვილსაც თან და თან ისე სწვრთნი-
და, როგორც მგელი თავის ლეკვებს ნადი-
რობაში გეშავს ხოლმე.

რა, რომ მერაბიკამ ვერაფერი გააწყო:
ვერც ისესხა და ვერც სხვანაირად იშოვნა
ფული, გასტება სირცხვილი და მისწერა ნი-
კოს, სადაც მისი მდგომარეობა დაწვრილებით
აღწერა, რის პასუხად მან ათი მანეთი მიიღო.
ახლა კი მერაბიკას დიდი საფიქრებელი არ
ჰქონდა. მან გამოაწყო ბიჭი, ცოტა-რამ თა-
ვისთვისაც იყიდა, მორჩენილი ფული ჩაიდვა
ჯიბეში და გასწია სოხუმში. ნიკოს ძალიან
გაუხარდა დიდი ხნის უნახავი მერაბიკას ნახვა
და უფრო თავის ნათლულისა, რომელსაც გა-
რეგანი შეხედულობა მეტის—მეტ სიმარჯვეს
და სიკოჩაღეს უმტკიცებდა... მარად მოცლი-
ლმა და უსაქმურმა მერაბიკამ დიდხანს იტრი-
ალა სოხუმში და სწორედ სანატრელი დროც
გაატარა. საქმე—სამუშაო, რაც მას სნებასა-
ვით სძულდა, არაფერი ჰქონდა, სოფელში
ულუკმა-პუროდ დაყრილი ცოლ-შვილის მდგო-
მარეობა სრულიადაც არ აწუხებდა, თვითონ
პური და ღვინო მზა-მზარტულად ეძლეოდა
და ამას მერაბიკა, რა თქმა უნდა, არ მოუ-
წყინდებოდა. ასე გაატარა მან ოციოდე დღე
და ბოლოს ნიკომ გამოუცხადა, რომ მისი
წასვლის დროც იყო; საქირო იყო ოჯახის-
თვის მიეკითხა, თან საქირო გზის ხარჯი აჩუ-
ქა, ნათლიდედისთვისაც გაატანა ცოტა-
რამ საჩუქრები და გაისტუმრა სოფელში

ნიკო ბესლანის მთელი სოხუმი იცნობდა, როგორც ქარაფშუტას და არამზადას, მაგრამ შემთხვევით სიმდიდრეში ჩავარდნილს. მას ბარემ გვარიანი სამემკვიდრო ქონება დარჩენოდა და ყველა ლოთობა—კინტაობაში წაეგო... მისი ხელით მოგებული, თუ არა კარტში, თვალითაც არ ენახა და კარტშიაც ათი იმდენი წაეგო, რამდენიც მოეგო. როცა მან მიიღო ქონება მიფლანგ—მოფლანგა, ტოლ—ამხანაგებმაც სულ სხვა თვლით დაუწყეს ყურება და მომავალი ცხოვრების იმდამოსპობილს, სულ სხვანაირი, აზრები დაეხდა... სწორედ უბედურობის განაკრძახე იღგა ის; ერთი ნაბიჯი წინ და ის ერთბაშად დაიღუპებოდა, რომ ამ დროს, შემთხვევით არ გადაჰკიდებოდა ერთს მოხუცებლობაში ფეხ შედგმულ ქალს, რომელიც საროსკიპო სახლის პატრონი იყო და დიდ ადებ—მიცემაშიაც ტრიალობდა. ქალმა ნიკოზე ჯვარი დაიწერა და ნიკოს მღვდმარეობაც სხვანაირად დატრიალდა; მას ახლა საზრუნველი სულ არაფერი ჰქონდა, ყოველისფერი მზა—მზარეულად ეძლეოდა: სულ სხვა და სხვანაირი ტანისამოსით იმოსებოდა და საკუთარი ეტლით დარჩინებოდა. ერთის სიტყვით, ის სრულიად კმაყოფილი იყო თავისი ხვედრით; მხოლოდ ორი—სამი გარემოება აფიქრებდა მას: ერთი, რომ ფულები საფლავანგად არ ეძლეოდა და ძმა-ბიჭებთანაც ქეიფობა აკრძალული ჰქონდა და მეორედ, კარგ საზოგადოებაში მას სრულიადაც არ იწვევდნენ და საზოგადოდ, ყოველგან ძალიან ცივად ღებულობდნენ... თავ-მოყვარე ყმაწვილები მას ხალ მის ღირსიდაც არ ჰხდოდნენ, რის გამო, ერთად-ერთი დამოკიდებულება მას იმ წრეში ჰქონდა, რომელსაც მისი ცოლი განაგებდა... როცა ნიკო ბედღურებ გაბმული ეტლით გაქან-გამოქანებოდა, პირველი მისი სურვილი ის იყო, რომ გვერდში კაი ძმა-ბიჭები ჰყოლოდა, მაგრამ ვინც ნიკოს უნდოდა, ისინი მასთან საზოგადოდ გასეირნების ნებას თავიანთ — თავს არ აძლევდნენ და ვინც ნიკოს ბედს შენატროდა, იმათთან დაახლოვებას ხომ არც ნიკო კადრულობდა! მართალია, ნიკოს რომ ქონების გაფლან-

გვის ნება ჰქონოდა, ტოლ-ამხანაგებმაც გაუჩნდებოდა, რომ ხელად მიეგნ — მოგბნით მისი სარჩო—საბადებელი, რაც გინდა სიმდაბლით ნაშოვნე ის ჰყოფილიყო, მაგრამ ამის უფლება მას არ ჰქონდა და განსაზღვრული დღირუი „პორციის“ პატრონი, ისიც წუშმვეში მოკურავე ყმაწვილ-კაცთან დაახლოვებას აბავინ იკადრებდა?!

კ. წუთისაფელკაი.



შენიშვნა.

14 იანვარი, წმ. ხინოს სსენების დღე თვალისის სისწავლებლების ქრისტიან მოწაფეთათვის დღესასწაულად დაიდა მსურველე მადლობის მეტი არა ეთქმით რა ქართველებს ამ განკაცულების გამო მაგრამ რა უნდა უთხროთ და ვაკადროთ თფილისის ქართველს მღვდლებს, რომლებმაც არ იხებეს ხინობა დღეს წირვა თავის სამრეკლო ეკლესიაებში? ყურადღი, ბაქაბუჯი და ფაფესური ძნაიდ იცან ამ დალოცვილებს დინსმამაშეშმა, სქაართველას დიდ მოჭირნასუელედ მოაქეთ თავი, მაგრამ განმანათლებელის სსენების დღეს ვა არ შედან თავის სამრეკლო საუდარში სლოცავად!

ვაი თქვენ, მოძღვარხო ცრუნო და ბრმანო, რადგანაც არაოდეს არ აგეხილებათ თვალემა სამართლის დასახსხად!

სულიერი.

კვირიღამ—კვიროზამდე.

როგორც ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპ. გიორგის ცირკულიარი გვაუწყებს, იმერეთის ეპარქიის სამღვდლოცების მორიგი კრების განსახილველ საგნებს შეადგენენ: 1) გახაწილება ღარიბ კრებულთა შორის ახალი დამატებითი ჯამაგირისა წ სული წლის პირველ იანვრიდან; 2) სავალდებულო ინ ნებაყოფლობითი დაზღვევა საეკლესიო მოძრავ ქონებისა საზოგადოთ და კერძოთ შენობებისა, აგრეთვე ეკლესიის კრებულის მოძრავ ქონებისა და შენობებისა; 3) 25% გადადება ყოველ წლობით სანთლის

მოკებიდგან სინოდის სამოსწავლო თანხისათვის იმ პირობით, რომ სინოდმა მიიღოს თავის თავზე სასულიერო სასწავლებლის ნორმალურ კლასების შენახვა; 4) საშუალების მოპოვება შესახებ სას. სასწ. შენობის საფუძვლიანად შეკეთებისა, რომელსაც ეჭირვება 10,682 მ. და 1 შაური, ამ თანხის განაწილებით ეკლესიებზე და სამღვდლოებაზე, 5) სამარხი კასის დაარსება იმერეთის სამღვდლოებისათვის; 6) სასულიერო სამზრუნველოს სასარგებლოდ გადასახადის დავალება იმ სამღვდლო პირთათვის, ვინც ჩინ-ორდენებს ღებულობს და რაოდენობა ამ გადასახადისა; 7) თითოეული კრებულის ჯამაგირიდგან გამოირიცხვა წლიურად 3 მ. და 2 აბაზისა სასარგებლოდ განმანათლებელ ძმობისა და მღ. ილია ჭუმბურიძის, რომელიც დავლადაცემულია, და მ. სუპატაშვილის ოჯახობის სასარგებლოდ თანახმად ლაილაშის სააბაღოჩინო ოლქის სამღვდლოების სურვილისა; 8) განხილვა და მიღება სასულიერო სასწავლებლის მდგომარე წლის შესახებ სმეტისა. 10) მომატება წმ. სანთლის გასაყიდელ ფასისა და სხ., რომელი საკითხებიც განხილული და შემუშავებული უნდა იყვნენ საბლაღოჩინო კრებებზე, რათა რწმუნებულნი წინდაწინვე გაცნობილი იყვნენ საქმის ვითარებას ყველა ამ აღნუსხულ საკითხების შესახებ.

ჟამმა ფეხი მოიდგა ხარბინში. როგორც იწერებთან 12 იანვარს 51 კაცი მომკვდა ამ სენით. ჟამს ოდესაში და ბითუმშიდაც ამბობენ.

ქალაქ ვერნაში დიდი მიწის ძვრა მოხდა რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს. ბევრი სახლები დაიქცა და ნანგრევებ ქვეშ მოიყოლა აუარებელი ხალხი, მიწის ძვრა დღე საცარ შეწყვეტილა და დროითი დრომეორდება.

უდ სამღვდლო გიორგიმ სობოროს მეოთხე მღვდლის თავისუფალ ადგილზე წინადადება მისცა დეკანოზ მიხეილ სხირტლაძეს, როგორც უფრო დამსახურებულს სხვა მოთხოვნელთა შორის.

ერთი ღამე აკალდამაში.

(საშობაო მოთხრობა).

(ჯაგრაქლება).

III.

საათზე მეტი დრო გავიდა, რაც მე შობას თავი დავანებე დასასვენებლად. იმ ადგილზე, სადაც მე ვიჯექ, ჯვარადინად უერთდებოდა ერთი მეორეს ოთხი გალღერეია (სარბენი). მე გადავწყვიტე იმათი დათვალიერება; გზის დაკარგვის არ მეშინოდა: — კარგად განათებულ მებოძირს (ჯვარადინა გზა, ანუ გზა-ბოძალი) შეეძლო ყოველთვის გამოვეყვანე სწორ გზაზე; მხოლოდ თუ არ დავკარგავდი მას თვალიდგან. ავიღე ახალი სანათი, რომელიც ლამბერტის მუშებმა დამიტოვეს მე და გაუდექი გზას. ორ გალღერეიაში მე კარგა შორს მივიდიოდი, მაგრამ ყოველთვის ადვილად ვბრუნდებოდი წინანდელ ადგილზე.

მათში საფლავეები ღარიბულად იყვნენ მოწყობილნი, ერთმანეთის მსგავსნი, მათი მორთულობა იყო მოტლანქო და არ წარმოადგენდნენ არაფერს საინტერესოს.

მესამე გალღერეიაში, სადაც მე უკვე თამამად შევედი, გარეგანი შეხედულობით იყო მდიდარი ქრისტიანების საფლავეები; მათი სახელები და ტიტული, რომელნიც მარმარილოზე და ქვებზე იყვნენ ამოჭრილნი, აჩვენებდნენ, რომ აქ განისვენებენ მონათა და მსახურთა თანა მალალ ხარისხოვანი პირნი.

მე ისე ჩაუკვირდი ჩემ გამოკვლევებს, რომ სრულიად ყურადღება არ მივაქციე გავლილ გზას; მერმე უცებ გამახსენდა, რომ ჩემი მხრით ძლიერ წინდაუხედაობა იყო გალღერეიდგან გამოსასვლელ კარების მეტად დაშორება და სიჩქარით დავბრუნდი უკან. მკერდში გულმა ცემა დამიწყო, როცა შევნიშნე, რომ აღარ მოჩანდა განათებული მებოძირი, მაგრამ მე მაინც ჩემ თავს ვარწმუნებდი, რომ სანათებს ვეღარ ვხედავდი სიშორის გამო. კინაღამ სირბილით გამოვექანე უკან; მაგრამ გარშემო ყველაფერი სიბნელით იყო მოცული; მხოლოდ მაშინ დაფინახე, რომ გალღერეიები სხვა და სხვა მხარეს იყვნენ გაყვანილნი და



შიგ ბევრი გზაბოძლები (მებოძირები) იყვნენ დახლართულნი და ყოველ მხარეს მიმავალნი.

ბოლოს, აქშინებული (აქლოშინებული) გავჩრდი და კედელს მივეყუდე. ცივი ოფლი დაშასხა და აკანკალდი—ავთროთოლდი, როგორც ცივებიანი, იმ ფიქრის გამო, რომ გზა დავკარგე ამ მიწას ქვეშ დახლართულ გალღერეობში. მაგრამ მე ვიყავ ახალგაზდა, ენერგიით სავსე და მესმოდა, რომ ასეთი წუთში მოსახრების დაკარგვა თავის დაღუპვას ნიშნავს.

თავს მეტის მეტ ძალას ვატანდი, ვმაცადინობდი შემენახა გულ-გრილობა და გეგმას ვადგენდი, როგორ მეპოვა ის მებოძირი რომელზედაც მე ვმუშაობდი. ის არ უნდა ყოფილიყო შორს იმ ადგილიდან, სადაც მე ვიმყოფებოდი, მაშინაც კი თუ რომ ჩემი კვლევის დროს მე შეუხვებე სადმე განზე; ყოველის უმაღლესი იყო გავლილი გზის აღდგენა იმ წარწერებით, რომლებსაც მე კედლებზე ვკითხულობდი და მახსოვდა. ასე ვიმედოვნებდი მე თანდათან გზის პოვნას, თუ არა და ლამაზი, როცა ის მოვა ჩემ სანახავად და ვერ მნახავს, დამიწყებს ძებნას, ძახილს და მიხსნის დაღუპვისაგან.

IV.

ნელა და ფრთხილად მივდიოდი წინ და გულსმოდგინედ ვათვალიერებდი საფლავების ძეგლებს. შემდეგ, როდენიმე ხნისა რომელიც მე საუკუნოებად მეჩვენებოდა, ამოვყავ თავი მრგვალ დარბაზში, რომელიც ნაცნობად მეჩვენა. ეს დარბაზი ერთი მხრით წაგავდა ქვიტკირის საკურთხეველს, მეორე მხრით კი, ჩემი თავის სიმაღლეზე, კედელში იყო დატანებული თეიური მარმარილოს ფიკარი. თუ ახლაც მე გზას დაბნეული არ ვარ, ამ ფიკარზე უნდა ყოფილიყოს ამოქრილი რომის იმპერატორის მხლებელთა უფროსის ფაბი ლენტულის სახელი.

მე გავეშურე კედლისაკენ, მაგრამ ისეთი ელდა მეცა, კინალამ წავიქეცი და ძლივს თავი შევიკავე;—მე მოვტყუვდი მოლოდინში ზედწარწერა წავიკითხე და სულ სხვა ეწერა:

„დეპოზიტა პაციენ ტერენტილა.“ ულონოდ დავეშვი კედელში გამოკვეთილ სკამზე და თავზე ხელები მოვიკირე. მაგრამ მე ერთხელ კიდევ ვსძლიე ჩემ სისუსტეს და ხელახლა გავექანე სირბილით და დრო გამოშვებით ვეძახოდი ლამბერტს, მაგრამ ამაოდ: პასუხს არავინ მაძლევდა და გარშემო ან სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ან ჩემ სასოწარკვეთილ ძახილზე პასუხს მაძლევდა კლდისაგან გამოძახილი, რაიცა მე უფრო მაშფოთებდა და მაფრთხობდა.

მე მართლაც თანდათან მეკარგებოდა მოსაზრება, თავბრუ მეხვეოდა, პაერი მძიმედ მეჩვენებოდა და მე სულთქმა მიმძიმდებოდა. ბოლოს მივახწიე თუ არა ერთ წმინდანის საფლავამდი, მე დალილი-დაქანცული დავეშვი ქვის სკამზე და ვმაცადინობდი როგორმე დალილი დაქანცულების გამო მთრთოლარე ხელიდან არ გამეგდო სანათი შემზარავი ყვირილი ამოსკდა ჩემი გულისაგან: კედელში დატანებულ მარმარილოს პირდაპირ ჩემ თვალის წინ მე წავიკითხე: „დეპოზიტა ინ პაციე ტერენტილა“. სჩანს, მე ისევ წინანდელ ადგილს მივებუტე, იმავე ტერენტილას საფლავს წავაწყდი და ჩემი დამლაღავ-დიმქანცავი სიარული ფუჭი გამოდგა.

მე მოვძებნე ისეთი ადგილი, სადაც შემედლო სანათი დამემაგრებია, დავამაგრე იგი და ძლივს მივალწიე სკამამდი. თავს ძლიერ დაქანცულად ვგრძნობდი; თავი დამძიმებული მქონდა და ძალდატანებით მუშაობდა. მე უკვე აღარ შემედლო შეცდომილვიყავ—მე დავიღუპე, ერთად ერთი ცოცხალი არსება ამ მკედართა სამეფოში. ჩემ თვალწინ წარმომიდგა სიკვდილი—საზარელი, თავზარდამცემი—სიკვდილი შიმშილისაგან, კიდევ უფრო საშიში ამ შემომავალ სიბნელზე. ჩემი სანათი, ეს ეს იყო, უნდა გამქრალიყო.

V.

მოხუცი შეჩერდა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. სტუდენტი ყურს უგდებდა მის მოთხრობას. რაკი შენიშნა მღელვარება ბიძი-

სა, მან წყლისთვის მეორე ოთახში შეირბინა და, მისცა თუ არა მას სტაქანი, უთხრა: „მაპატივე, რომ მე განვადვიძე შენში ძნელი მოგონებანი“. ავადმყოფმა მოსვა ერთი ყლაპი წყალი და შეეცადა გაეღიმა.

— აი, ორმოცდაათი წლის შემდგომაც კი არ შემიძლია უძრწოლველად გავიხსენო ის ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა—წვადლება, რომელიც მე მაშინ გამოვიარე. რაც მე მაშინ შიშის ზარი განვიცადე, მისი აღწერა მე არ შემიძლია, თუმცა თვითეული აზრი, თვითეული გრძობა იმ დროს ჩემ მიერ გამოვლილი აღმოუხოცელად შთაიბეჭდენ ჩემ ხსოვნაში; რავდენდაც შემიძლია მე მაინც ვეცდები გაგაგებინო, რაც გამოვიარე. ის, რაც ფიქრები და გრძობები მაშინ განვიცადე, დაედო საფუძვლად ჩემ ზნეობრივ განახლებას, რომელმაც შემდგომ ახალ ცხოვრების არა ჩვეულებრივ გზაზე დამაყენა.

როცა ჩემ თვალწინ საესებით გამოირკვა ჩემი აუცილებელი დაღუპვის შეგნება, მაშინ მე გონება სრულიად დავკარგე: თავს კედელზე ვახლიდი, იატაკზე დავგორავდი... მაგრამ ამ მდგომარეობამ მალე განვლო და შეიცვალა ბედშივე გულგრილობით, რომლისაგან მე გამომიყვანა ჩასაქრობად განმზადებულმა ჩემმა სანათის ტკაცანმა. მე შემიბყრო უზომო შიშმა, როცა წარმოვიდგინე, რომ ვრჩები სრულ სიბნელეში. მაგრამ იქვე გამახსენდა, რომ მე მქონდა ჯიბეში მსხვილი წმიდა სანთელი, რომელსაც მე ვხმარობდი მაშინ, როდესაც მინდოდა კარგად გამესინჯა გადმოსახატავი სურათები. სანთელი დაღრეკილ-დამტვრეულიყო, მაგრამ სახმარად კიდევ ვარგოდა, მე ამოვიღე წუმწუმა და გვერდით მოვიდევი—ანთება მხოლოდ მაშინ მინდოდა, როცა ჩემი სანათი სრულიად გაქრებოდა. წამი საუკუნოებად მეჩვენებოდა, ჩასაქრობად მოწვევული ალი ხან სრულიად ჩაბნელებოდა, ხან ნათლად აბრიალებდა და გაანათებდა საფლავის ქვას, რომელსაც მე უნებურად უცქეროდი.

განსვენებული ტერენტოლო მდიდარი ქალი უნდა ყოფილიყო! საფლავის ქვის გარშემო მშვენიერი ჩუქურთმით იყო ამოჭრილი

ვაზის ფოთლების გვირგვინი; წარწერის ზემოთ ბზის ტოტი, ხოლო თვით საფლავის ქვაში იყო დატანებული ბროლის მშვენიერი შუშა, წინეთ, უთუოდ, სისხლით საესე.

ამნაირად ჩემ წინ იყო მოწამე ქალი (სარწმუნოებისთვის სიკვდილით დასჯილი ქალი) და უცბად რაღაც უცნაურმა შურმა შემიბყრო ამ ქალისადმი, რომელიც მიეგება სიკვდილს, როგორც დღესასწაულს, წვადების დროს გამხნევებული სარწმუნოებით,—თვით იმ სარწმუნოებით, რომელსაც მე ვსთვლიდი გონების წინააღმდეგ სჯად (ცრუ მორწმუნოებად), და ვგრეთვე, მეცნიერების გულისთვის, უარყოფდი ღმერთსაც და სულის უკვდავებასაც. მაგრამ ამ საშინელ გაჭირვების დროს მეცნიერებამ მე ვეღარ მიშველა; მე სიკვდილის მეშინოდა, მეშინოდა უცნობელი უფსკრულისა, რომელიც მზად იყო ჩემდა ჩასანთქმელად, მე ბნელში დარჩენისაც კი მეშინოდა და ამ ჩემ მიერ ყველა უცნობ მიცვალებულთა შორის დირჩენისაც.

მთელი ჩემი წასრული ცხოვრება მეტად ნათლად წარმომიდგა ხსოვნაში და უცბად გაიბრინა ჩემ წინ, ამ წუთში მე გამახსენდა, რომ ჩემ შორეულ სამშობლოში დღესასწაულობენ შობის წინა დღეს.

მე დავინახე ჩემი თავი ჩვენ სახლში, რომელიც იდგა მოსკოვს ქვემოლ, სადაც სცხოვრებდა ჩემი უფროსი ძმა, მამა შენი, რომელიც იყო სულ ახალ ჯვარდაწერილი. დიდ სასაღილო ოთახში შეკრებილან ნათესავები, ჩემი და შეილებით და მოხუცი დედა. რა სიამოვნება და ბედნიერება ტრიალებს მორთულ-მოკაზმულ, გაკაშკაშებულ და ათასფერად განათებულ შობის ხის გარშემო; ჩემი ნათესავები, რასაკვირველია, იფიქრებენ სხვაგან მყოფზეც, მე გავახსენდები მათ და დაიწყებენ ჩემზე ლაპარაკს; არავის აზრათაც არ მოუა, რომ მე თვით იმ საათში ვკვდები საშინელი სიკვდილით.

უიმედო შიშმა შემიბყრო მე და თვალთავან ლაპაღუბით წამოვიდა ცრემლები; დედის სახესთან ერთად წარმომიდგა სიყმაწვილის მოგონებანი, ზამთრის გრძელი საღამოები სოფელში, დედის დარიგება და საღამოს დაწო-

ლის წინ სათქმელი ლოცვები, რომლებსაც დედა წარმოსთქვამდა და მე ჩემი ძმა და ვიმეორებდით, მომაგონდა მოხუცებული სოფლის მღვდლის გაკვეთილები და ღვთის მსახურება ჩვენ სოფლის ეკლესიაში. ყველა ამ შვიდმა, აღმძრავმა სურათმა უბრალო ღრმა რწმენისამ, რომელიც მაშინ მე და ყველა იქ მყოფს გვაძინებდა, უცბად გაიფრიადა ჩემ წინ.

ხოლო ჩემ თვალთაგან გარდმოდიოდა ნაკადული ცრემლთანი და ამ **ცრემლში დნებოდა ჩემი ამხარტაგნება და ურწმუნობა**; დაავადებულ სულში აღმძვრა ლოცვის სურვილი.

ქვეყანას განშორებული და კაცთაგან განყენებული, მე მიუბრუნდი ჩემ შემოკმედს, უხილავს, მიუწოდებდს, მაგრამ სჩანდა, რომ მის მყოფობას მე ვგრძნობდი ამ საშინელ წუთში. მე ვცდილობდი მგელოცა, მაგრამ ვერ შევიძიე; აუტანელმა გრძობამ შემიპყრო მე, თავბრუ მეხვეოდა, ყურში მიწივოდა, გულში მიქერდა და მე გრძობა დავკარგე...

VI.

როცა გონებაზე მოვედი, ჩემ გარშემო საშინლად ბნელოდა; პირველად ვერ მივხვდი, სად ვიყავი და რა მომივიდა მე; მაგრამ, როცა სინამდვილის გრძობა დამიბრუნდა, ჩემ თავზე თითოეული თმა ყალყზე დადგა.

გაუგებარია, რატომ არ შევიშალე მე მაშინ ჰუისაგან; რა ტანჯვა მე გამოვიარე ზნეობრივად და ფიზიკურად, — შიმშილისა და წყურვილისაგან დატანჯულმა, — შეუძლებელია მისი აღწერა! რომ ბოლო მომეღო აუტანელ ტანჯვისათვის, მე უკვე განვიზრახე თავის მოკვლა — მე შეგულებოდა ჩემთან ჯაყვა და ნა, რომლითაც შემეძლო ძარღვები დამეჭრა; მაგრამ დანა ვერ ვიპოვე.

ძალამიხილდი, მე ვიჯექე კედელთან, როდესაც უცბად, თითქო შრიალით, გავიგონე სიტყვები.

— ილოცე! მარტო ღმერთს შეუძლია შენი შევლა.

მე კი მინდოდა ლოცვა, მაგრამ ვერ შევიძიე ჩემ სულში გამომეწვია ნამდვილი აღმაფრენა. იმავე წამს თავში მომივიდა აზრი,

რომ ყველა ესენი, ვინც ჩემ გარშემო განისვენებენ, ხომ **სარწმუნოებას გმირება** იყვნენ და ქონდათ მინიჭებული მადლი ჰეშმარიტი ლოცვისა; თუ სულეები საიქიოს განაგრძობენ ცხოვრებას, ნუთუ ერთი იმათგანი არ შეისმენს ჩემ ვედრებას და არ მოვა ჩემდა საშველად?

— ტერენტილო, ქალწულო, მოწამეო! — გამხმრებულად ვჭურჭულობდი მე, — თუ შენ არსებობ იქ, ზეგრდამო მომანიჭე მე მადლი, მასწავლე მე მოვეკდე ისე, როგორც მოვედი შენ თვითონ.

გარშემო როგორც წინეთ ისე ბნელოდა.

მაგრამ... უცბად თითქოს ფოსფორის სინათლემ (მოკვითალო სინათლეა) გაანათა ტერენტილას საფლავის ქვა და სწორეთ გამჟვირვალა შეიქნა; ხოლო მის შუა მე დავინახე უძრავი სხეული ქალისა, გახვეული ოქროთ ნაკერ მოწითალო იის ფერ სამოსელში. ბზის ორი ტოტი იდო მის გულზედ.

მერმე ხელახლა სიბნელე გამეფდა და შემდეგ რა მოხდა, არაფერი არ მახსოვს.

ვილაცას ხელის შეხებამ მომიყვანა მე გონზე. მე გავახილე თვალები და განცვიფრებულმა დავინახე ჩემ წინ მდგომარე ქალი, მკრთალად განათებული ძველებური კანდელის სინათლით, რომელიც (კანდელი) მას ეჭირა ხელში. მაგრამ მე მაინც (მიუხედავად მკრთალი სინათლისა) ცხადად დავინახე მისი მაღალი მოხდენილი ტანადობა თეთრ უბრალო და გრძელ სამოსელში, და იის ფერი შალის პირბადე, რომელიც მის თავს ფარავდა.

— ადექ და გამომყევ მე! დაბალი-მიყრუებული ხმით მითხრა მან.

რა თქმა უნდა, მე მაშინვე წამოვხტენი და თავიც არ მახსოვდა სიხარულისაგან, თუმცა თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მთვრალი, თავიც დამძიმებული მქონდა და მოსაზრებაც უცუდი. ასე რომ ჩემზე, პირველ წუთში, არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მას, რომ ის ლათინურად მელაპარაკებოდა. და ეს გარემოება მე უკვე შემდგომში გაეიხსენა.

მივეყვებოდი რა ამ უცნობ ქალს, მე გავიარე რამდენიმე ისეთი სარბენი (გალღერეთა), რომელთა გამოსასვლელს კარებს უცხო კაცი

ვერა გზით ვერ მოაგნებდა და, რადენიმე ხნის შემდგომ, რადენი იყო ეს დრო, ეს კი არ შემოძლია ვსთქვა, მივალწიე კიბის ძირთან.

ქალი, რომელმანც მე მიმიყვანა კიბემდე, მალე კიბეს შეყვა და, როცა მოსახვევამდე მივიდა, გაჩერდა და ჩემსკენ მოიბრუნა პირი.

ეხლა ლამპრის სინათლემ პირდაპირ პირის სახეზე მიანათა და მე დავინახე ჩემ წინ ახალგაზდა, მეტად სამაგალითო ლამაზი ქალი. პირბადეს ქვეშოდან მოსჩანდა საუცხოვო ოქროს ფერი თმა, ხოლო მისი ბრწყინვალე და უპბრით შავი თვალები დაფიქრებული მიცქეროდნენ მე.

— წაღი! ამას იქით შენ გზა აღარ დაგებნევა. კიბის თავზე არის გასავალი

— რით გადაგიხადო მადლობა? ვინა. ხარ შენ, ჩემო საკვირველო მხსნელო? — ძლივს წავიჭურსულე მე.

— ღმერთმა გამომგზავნა მე. ჩემი მოსვლა იყოს შენთვის დამამტკიცებლად იმისა, რომ ყოველი წრფელი აღმაფრენა მიადწევს ზეციურ მოწყალების ტახტამდე. წაღი და ცხოვრების ამოცებაში ნუ დაივიწყებ, რომ უზენაესის (ღვთის) ხელმა გამოგიყვანა შენ ამ უფსკრულისაგან. მშვიდობით! აჰა ჩემდა სახსოვრად, — მითხრა მან და ჩამიდვა მე. ხელში რაღაც ცივი და მრგვალი ნივთი, — წაიღე ჩემი ლამპარიც, რათა მიხვიდე გასავალ კარებამდე.

— შენ რაღა? — ვკითხე მე, შემფოთებულმა.

— ოო! მე აქ ყველა გასავალ-გამოსავალი ვიცი! — ღმილით მიპასუხა მან და, მიჩვენა რა ხელით გამომშვიდების ნიშანი, ჩაირბინა კიბეზე და ბოლოს სიბნელეში გაქრა. თუმცა ამ შემთხვევით შემფოთებულმა, მაგრამ ახალ სიკოცხლით აღვსილმა, მე სიხარულით ავიღე ლამპარი ხელში და გავეშურე ზემოთ; გრილმა ჰაერმა დამიბერა პირის სახეზე და მე მალე დავინახე ჩემ თავს ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედული ცა.

უცებ მუხლებზე დავეცი, გონება ზეცას აღვაპყარ და დავიწყე სამადლობელი ლოცვა, ღმერთს მადლობას ვწირავდი და ვსთხოვდი ცოდვათა მოტევენას; ამ წუთში მე ვლოცვი-

ლობდი ისე, როგორადაც ჩემ სიკოცხლეში მე გერ კიდევ არ მილოცნია.

VII.

როცა მზე ამოვიდა, მე დავინახე, რომ ხელებში მიჭირავს ძველი დროის ლამპარი და პატარა, ვერცხლის ძეწვეზე მიძმული, სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ყუთი. ეს ორივე ჩემი ძვირფასი განძი უბეში შევინახე და გზას გაუდექ. გზაზე შემხვდა მე'აღე, რომელსაც ბაზარში მწვანელი მიქონდა ურმით და მან თავის ურმით მიმიყვანა ქალაქში.

ჩემ მიერ გამოვლილმა მღელფარებამ მაინც თავის გაღვენა იქონია: მე გაეხლი ავით და სამი კვირა ვიავადმყოფე.

ლამპერტი ავადმყოფობის დროს მუდამ მნახულობდა. აღმოჩნდა, რომ ის დიდხანს, მაგრამ ამაოდ, მეძებდა მე.

როცა მე უამზე მას სასწაულებრივი ჩემი გამოხსნა სიკვდილისაგან, ის გაოცდა და, გაშინჯა რა სპილოს ძვლის პატარა ყუთი, რომელშიაც იყო ღრუბლის პატარა ნაჭერი, უთუოდ, ოდესმე სისხლში ამოსვრილი, მითხრა:

— თქვენ გიხსნა ტერენტოლამ.

დაინახა რა ჩემი განკვირება და იქვიანობა შესახებ მისი სიტყვებისა, მან დაუმატა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ის იყო წმიდა მოწამე! მას ემოსა სამოსელი ქალწულებისა... და ლაპარაკობდა ის ლათინურად!

მე არაფერი არ უთხარი, — მე დავკარგე უფლება ექვიანობისა, რის შესახებაც უნდა ყოფილიყო. ამ ჩემ თავხარ დამცემი შემთხვევის შემდგომ გავიდა ექვსი კვირა და ლამპერტი როგორღაც სალამოს ჩემთან შემოვიდა და აღტაცებით გამომიცხადა, რომ მან იპოვა ტერენტოლას საფლავი.

— ეს შორსაც არ არის იმ ადგილიდგან, სადაც თქვენ მუშაობდით. მე ვერ გამიგია, თქვენ როგორ ვერ გაიგონეთ ჩემი ძახილი, და მე თქვენი... აღბათ, ასეთი იყო ნება ღვთისა! ხვალ გათხრიან იმ ადგილს, თუ გინდათ ერთათ წაეიდეთ.

შენ მიხვდები, რა აღელვებით ჩავედი მე მეორე დღეს აკადამიაში. ლამპერტი არ შემ-

ცდარა; ეს იყო თვითონ ის ადგილი, სადაც მე იმდენი ტანჯვა—წვალემა გამოვიარე.

როცა იღებდნენ საფლავის ქვას, კირით შევლესილ ადგილიდგან გამოიღეს შუშა, რომელიც ლამაზბერტმა მე მაჩუქა.

იმ ადგილის შიგნით მარმარილოს ქვაზე ესვენა დედაკაცის სხეული, რომელიც შეხვეული იყო წითელ ოქრომკედლით მოქარგულ ნაქსოვში, ბზის ორი ტოტი ჯვარედინათ ედო გულზე, მაგრამ მაშინვე მტვრად იქცენ და გაიფანტენ.

თავი და ხელები საკვირველად შენახულიყვნენ და მე ვიცან, რომ ეს ქალი იყო ჩემი მხსნელი და რაღაც შიშმა შემიპყრო.

მაგრამ, როგორც კი ჰაერი მოხვდა, სხეული გაშავდა და მტვრად იქცა, დარჩა მხოლოდ ჩონჩხი ძვლებისა და რავდენიმე ნაწნავი ოქროს ფერის თმისა.

სულ ერთია, მე საკმაოდ ვნახე, და შენც მიხვდი ახლა, რომ მე მოვიქეცი ღვთის სარწმუნოებისადმი, ქეშმარიტად მრწამს არსებობა ღვთისა და არსებობა სულისა სიკვდილის შემდგომ

აი, რისთვის არ ვაკლდებოდი არასოდეს შობის წინ დღეს ღამისთევით ლოცვას, როგორც სახსოვარი დღე თვით უსაკვირველესი და საოცარი შემთხვევისა ჩემ სიცოცხლეში!..

ამ მოთხრობით შემკრთალი სტუდენტი დიდხანს იჯდა ჩუმად და, ბოლოს მორიდებით ჰკითხა:—ბიძა ჩემო! ეს ნივთები კიდეც ახლაც შენა გაქვს?

— რასაკვირველია! მე ახლაც ვაჩვენებ შენ იმით, და იმათ, შესახებ მოგცემ დარიგებას.

ავადმყოფი ძმისწულის ხელებზე დაეყრდნო დასაძინებელ ოთახში შევიდა და გააღო მოჩუქურთმებული განჯინა (შკაფი), რომელიც ლოგინთან იდგა; მერე მოატრიალა ელექტრონის ლამპის ღილი და ოთახს მოეფინა

საუცხოვო ნათელი. შკაფის შიგნითა კედელში იყო ჩასმული ქალის სურათი ძველებურ ტანისამოსში და ხელში ლამაზარი ეჭირა. საუცხოვო გაკეთებული იყო: როგორც ცოცხალი, ისე მოჩანდა ოქროს ფერი თმისანი თავი სურათზე, ხოლო დიდრონი ბრწყინვალე თვალები ცნობის მოყვარეობით უცქეროდნენ მაყურებელს. სურათის ქვემოთ ხავერდის ბალიშზე იდვა ბროლის შუშა და იდგა თბის ძველებური ლამაზარი; იქვე ეკიდა ძეწკვით სპილოს ძვლის პატარა ყუთი. ბალიშის გვერდით წითელ ნაქსოვის ნაჭერზე, რომელიც ოქრომკედლით იყო მოქარგული ეწყო ოქროსფერ თმის ნაწნავები.

როცა ძმისწულმა ყველაფერი განიხილა, ბიძამ დაკეტა განჯინა, ჩაჯდა სავარძელში და უთხრა:

— ახლა, აი ჩემი განკარგულება შესახებ ყველაფერ იმისა, რაც შენ ეს ეს არის ნახე: სპილოს ძვლის პატარა ყუთი და თმის ნაწნავი შენ ჩამატანე მე კუბოში, ხოლო სურათს და დანარჩენს ყველაფერს მე გიტოვებ შენ, როგორც ჩემი სამკვიდრებელისაგან საუკეთესოს და როგორც სამკურნალო წმალს შენი ურწმუნოების და სოფიზმის წინააღმდეგ.

— გმ დღობ ბიძ ჩემო! მე არაოდეს არ დავივიწყებ შენ მოთხრობას, ხოლო როცა მე ექვი დამებადება ჩემთვის საკმაო იქმნება, შევხედო ტერენტილას თვალებში, რომლებიც ცოცხალს დაგიმგვანებია, რათა ვერწმუნო ჩვენ მიერ უცნობელ ქვეყნის არსებობას, სადაც ცხოვრობენ გარდაცვალებულნი, რომელნიც ჩვენ გვხედავენ და ჩვენი ესმით.

არხიმანდრიტი ნესტორ.

დაქტორი, მღვდელი სიმონ მკვდელიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

„მინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიგოზის მუყაბები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (ведомости) წლიური საბლად იჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „ძმობის“ გამოცემა და ფულიც მის ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს და ბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религиозно-просвѣдительнаго братаства.
Ольденбургская д. № 5.

Открыта ПОДПИСКА на 1911-й г. НА художеств., литературн., популярно-научный ЖУРНАЛЬ

ВЕСЬ МІРЪ

ЗА ГОДЪ 52 №№

Содержитъ до

5000 СТ. ТЕРСТА И ИЛЛЮСТРАЦИИ

БЕЗПЛАТНО КНИГА

1600 ст. текста 863 иллюстраціи.

на 12 мѣсяцевъ 5 р., на 6 мѣсяцевъ 2 р. 50 к., на 3 мѣсяца 1 р. 25 к.
ВЕСЬ МІРЪ выходитъ еженед., содержитъ въ каждомъ № 96 ст. текста и иллюстрацій, печат. на вѣленовой бумагѣ, въ очень плот. обложкѣ.

Годъ изд. 2-й

Первые №№ **ВЕСЬ МІРЪ** расходились въ количествѣ 4—5 тис. каждый № журнала. Последние №№ **ВЕСЬ МІРЪ** расходились въ количествѣ 53.000 экз.

ВЕСЬ МІРЪ составитъ за годъ огромный томъ въ 5000 ст. текста и иллюстрацій и на ряду съ обширной библиотечкой вполнѣ законченныхъ разск., стихот. и иллюстрирован. популярно-научныхъ очерковъ, явится иллюстрир. хроникой событій за весь годъ.

Съ Ноября 1910 г. въ журналѣ **ДѢТСКІЙ МІРЪ** печатается особый отдѣлъ содержащій игры, забавы, фокусы загадки, задачи—все на преміи

Первый листъ (8 полосъ) журнала **ВЕСЬ МІРЪ** представляетъ иллюстрированную хронику событій а недѣлю и составляется по рисункамъ и фотографіямъ художниковъ и фотографовъ журнала.

Въ литературномъ **ВЕСЬ МІРЪ** въ 1910 г. печатали свои рассказы и стихотворенія преимущественно иллюстрированные: К. С. Баранцевичъ, Р. В. Бодуэнъ де Куртнэ, А. С. Бенедиктъ, Ю. Д. Бѣляевъ, И. М. Василевскій, В. Н. Гордиль. П. П. Гнѣдичъ, С. М. Городецкій, А. С. Гринъ, В. П. Далматовъ, А. Н. Каменскій, Б. А. Лазаревскій, Владиміръ Ленскій, В. А. Мазуркевичъ, И. Н. Петапенко, А. С. Рославльскій, С. Г. Скиталець (Петровъ), В. А. Тихановъ, Дмитрій Цензоръ и др. На ряду съ этимъ печатались иллюстрированные рассказы лучшихъ иностранныхъ писателей.

въ популярно-научномъ отдѣлѣ печатались иллюстрированные очерки по всѣмъ отраслямъ знанія, имѣющие интересъ момента.

Особый иллюстрированный отдѣлъ посвященъ **ТЕАТРУ И МУЗЫКѢ**

Въ 1911 году журналъ **ВЕСЬ МІРЪ** будетъ издаваться по той же прогр. и при участіи тѣхъ же сотрудниковъ.

Гг. подписчики на 1911 г. получаютъ **НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:**

книгу, содержащую 1600 ст. текста съ 863 иллюстр.

ВСЕЛЕННАЯ И ЧЕЛОВѢЧЕСТВО форматъ книги—размѣръ журнала **ВЕСЬ МІРЪ**.

Полный переводъ съ послѣдняго нѣмец. изд. ТРИ ТОМА стоющіе въ отд. прод. 33 р. **ДАРОМЪ** въ одномъ томѣ. Книга выдается съ 20 Декабря 1910 г. ПРИ ПОДПИСКѢ всѣмъ высшимъ подписную плату (5 р.). Подписавшимся въ разсрочку, книга выдается по внесеніи полной годовой платы.

Всѣ книги (8 ф.), не допускаетъ ея пересылки при журналѣ. Въ виду этого, книга выдается безъ всякой доплаты только въ Петербургѣ. За доставку на домъ повсемѣстно приплачивается 1 р. 35 к. (всего 6 р. 35 к.) за упаковку и перес.

на 1911 г. журналомъ **ВЕСЬ МІРЪ** объявленъ **КОНКУРСЪ**

на премію въ **1000** р. Б. за лучший рассказъ своего подписчика.

Участниками и судьями конкурса являются всѣ Гг. подписчики журнала **ВЕСЬ МІРЪ**. Подробныя условія конкурса въ декабрьскихъ №№ журнала „Весь Миръ“.

Для **Вселенная и Человѣчество** изготовлены роскошные

КРЫШКИ—ПЕРЕПЛЕТЫ. Точный снимокъ приложенъ къ каждой книгѣ. Подписка принимается во всѣхъ книжн. магазинахъ, въ Главной Конторѣ журнала „Весь Миръ“: С. Петербургъ, 5 лин., 54, фабрика Коммерціи Совѣтника Н. В. Гаевского и въ магазинахъ Н. В. Гаевского въ С.-Петербургѣ

1) Литейный пр., 28. 2) Садовая ул. 22.

Редакторъ-Издатель: Коммерціи Совѣтникъ Н. В. Гаевскій.

←→ (Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.) ←→